2050/4-15/21 2 09032021

2050/4-15/21
09-03-2021

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრს
ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,

როგორც მოგეხსენებათ, სპორტის სფეროში კორუფცია, უკანონო ფსონები, გარიგებული თამაშები და შეჯიბრებების მანიპულაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ყველა სახელმწიფოსთვის. ამ პრობლემის ირგვლივ მთავრობისა და სხვა სუბიექტების კოორდინირებული, მყისიერი რეაგირების უზრუნველსყოფად, ევროპის საბჭომ შეიმუშავა „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია. 2014 წელს საქართველო შეუერთდა ხსენებულ შეთანხმებას, მოგვიანებით, 2015 წლის 11 თებერვალს შეიქმნა „სპორტის მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისი კომისია“, რომლის ერთ-ერთ ამოცანად სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება, დაინტერესებულ სუბიექტებს შორის ინფორმაციის დროული გაცვლა და საერთაშორისო თანამშრომლობა განისაზღვრა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. სამინისტროს მიერ რა კონკრეტული ღონისძიებები განხორციელდა „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირების მიზნით?
2. 2015-დან 2020 წლის დეკემბრის ჩათვლით, ქართულ სპორტში სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის რამდენი ფაქტი გამოვლინდა (გთხოვთ მიუთითოთ წელი, სპორტული სახეობა)? თითოეულ ფაქტთან მიმართებით რა კონკრეტული ღონისძიება გატარდა?
3. სამინისტროს მიერ რა ღონისძიებები განხორციელდა საქართველოში სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების წინააღმდეგ პოლიტიკის განვითარების მიზნით?

ასევე გთხოვთ, მოგვაწოდოთ „სპორტული მთლიანობის დაცვის უწყებათაშორისო კომისიის“ მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე ანგარიში (წლების მიხედვით) და ჩატარებული სხდომების ოქმები.

კეთილი სურვილებით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ ყაველაშვილი